

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №1

28 თებერვალი 2018 წელი

ქალაქი ქუთაისი

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის შემდეგი წევრები:

ქეთევან აწყურელი (საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე), არჩილ გლუნჩაძე (საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), დიმიტრი გვრიტიშვილი, გიორგი ზარნაძე, ნათია ლოლაძე (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენელი), ზურაბ ცხვედიანი

საკონკურსო კომისიის მდივანი - ონისე გურეშიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის შემდეგი წევრები: ქეთევან თხელიძე, პაატა ჩხეიძე და ირაკლი შენგელია.

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

დღის წესრიგი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 1 თებერვლის №82 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსისათვის (შემდგომში - „კონკურსი“) საკონკურსო პროგრამის, პირობების, კანდიდატის შეფასების ფორმების დამტკიცება და „კონკურსის“ ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა.

მომხსენებელი: ქეთევან აწყურელი.

1. საკონკურსო კომისიამ, მოისმინა რა ქეთევან აწყურელის მოხსენება, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული, საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის (შემდგომში - „წესი“) მე-19 მუხლის საფუძველზე, „წესის“ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს „კონკურსისათვის“ შემდეგი საკონკურსო პროგრამა:

1.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარ კონსულტანტს - მოსამართლის თანაშემწეს - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
- გ) საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“;
- დ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- ე) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ზ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- თ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- ი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- კ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- ლ) საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- მ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- ნ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- ო) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- პ) „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ჟ) „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება;
- რ) „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულება;
- ს) „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება;„საქართველოს

იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/310 გადაწყვეტილება.

1.2. საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სპეციალისტს - პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ) საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“;

დ) „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი;

ე) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;

ვ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

ზ) „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;

თ) „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილება;

ი) „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება;

კ) „საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შებცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №201 დადგენილება;

ლ) „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №203 დადგენილება;

მ) „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილება;

ნ) „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №218 დადგენილება;

ო) „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №220 დადგენილება;

პ) „რაციონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულება;

ჟ) „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/310 გადაწყვეტილება.

1.3. მანდატურის სამსახურის უფროსს - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ასევე - მანდატურის სამსახურის მანდატურს -

პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტს მოეთხოვებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

გ) „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი;

დ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-ე და 212-ე მუხლები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი;

ე) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ვ) „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ზ) „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება;

თ) „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება;

ი) „სასამართლოში ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერისა და ეთერში გადაცემის წესის შესახებ“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავამჯდომარის 2016 წლის 21 მარტის N92 ბრძანება;

კ) „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2013 წლის 12 ივლისის N97 ბრძანება.

2. საკონკურსო კომისიამ, მოისმინა რა ქეთევან აწყურელის მოხსენება, „წესის“ მე-19 მუხლის საფუძველზე და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს „კონკურსის“ ჩატარების შემდეგი პირობები:

2.1. ზოგადი დებულებანი:

2.1.1. „კონკურსის“ ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ გადაწყვეტილებით, რეგულირდება „წესით“.

2.1.2. საკონკურსო კომისიის სხდომას იწვევს და მის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომისია, ან - კომისიის თავმჯდომარე, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.kutaisiappeal.gov.ge](http://www.kutaisiappeal.gov.ge)), კომისიის სხდომამდე არაუგვიანეს 7 დღისა.

2.2. „კონკურსის“ გამოცხადება; შეტყობინების შინაარსი:

2.2.1. „კონკურსი“ უნდა გამოცხადდეს სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში - „ბიურო“) მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)), აგრეთვე - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდის ([www.kutaisiappeal.gov.ge](http://www.kutaisiappeal.gov.ge)) მეშვეობით.

2.2.2. „კონკურსის“ გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში მითითებულ იქნეს შემდეგი მონაცემები:

ა) ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) დახურულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

ბ.ა) მოქმედ პროფესიულ საჯარო მოხელეს;

ბ.ბ) მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ პირს;

გ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, თუ იგი არანაკლებ 1 წელია მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში და აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მანდატურის სამსახურის უფროსად-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად და მანდატურის სამსახურის მანდატურად-პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 22 წლის ასაკიდან, თუ იგი ფლობს სახელმწიფო ენას და აქვს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლოს მანდატურად სამსახურის ზღვრული ასაკი 50 წელია.

2.2.4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 1 თებერვლის N82 ბრძანების დანართით განსაზღვრულია ვაკანტურ თანამდებობებზე ჩასატარებელ კონკურსებში მონაწილე კანდიდატების მიმართ დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც თვალისწინებული უნდა იქნეს კონკურსის ორივე ეტაპზე.

2.2.5. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოხელის სტატუსის არმქონე პირი ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება გამოსაცდელი ვადით, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

### 2.3. საკონკურსო განაცხადის წარდგენა:

2.3.1. „კონკურსში“ მონაწილეობისათვის, კანდიდატი განაცხადს წარადგენს „კონკურსის“ გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მხოლოდ ელექტრონული ფორმით, „ბიუროს“ მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) მეშვეობით. კანდიდატი უფლებამოსილია - განაცხადში ცვლილება შეიტანოს ამ ვადის ამოწურვამდე.

2.3.2. კანდიდატი ვალდებულია - საჯარო დაწესებულებას მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

2.3.3. ღია და დახურულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა აუცილებლად უნდა ატვირტოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

მანდატურის სამსახურის უფროსის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატმა ასევე დამატებით უნდა ატვირთოს სპეციალობით ან/და შესაბამის სფეროში/დარგში არანაკლებ ორწლიანი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ უკანასკნელმა კი არსებობის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სპეციალური სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

2.3.4. დახურულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა აუცილებლად უნდა ატვირთოს:

ა) საჯარო სამსახურში მუშაობის დამადასტურებელი, სათანადოდ დამოწმებული ცნობა, რომელიც გაცემული იქნება „კონკურსის“ გამოცხადების შემდეგ, ან -

ბ) მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის თაობაზე დოკუმენტი.

2.3.5. ატვირთულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე შედგენილი დოკუმენტაცია. უცხოენოვანი საბუთების შემთხვევაში, აუცილებელია აიტვირთოს მათი ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანებაც.

2.3.6. კანდიდატმა სახელმწიფო ენის ცოდნის დადასტურების მიზნით უნდა ატვირთოს „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტი/მოწმობა.

2.3.7. საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში, სავალდებულოა - აიტვირთოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარების თაობაზე.



## 2.4. აცილების საკითხები:

2.4.1. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია - „კონკურსის“ ეტაპების დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს გარემოება, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებაში. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2.4.2. თუ ამგვარი თვითაცილება არ იქნა განცხადებული და მითითებული გარემოების შესახებ „კონკურსის“ მიმდინარეობისას გახდება ცნობილი, საკონკურსო კომისიის ამ წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე არ იქნება

გათვალისწინებული კანდიდატებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

## 2.5. „კონკურსის“ ეტაპები:

„კონკურსი“ შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) პირველი ეტაპი - კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) მეორე ეტაპი - კანდიდატის შეფასება;

გ) მესამე ეტაპი - „კონკურსის“ შედეგების გამოცხადება.

## 2.6. „კონკურსის“ პირველი ეტაპი:

2.6.1. საკონკურსო კომისიის სახელით, ნათია ლოლაძე ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

ა) საკონკურსო განაცხადების ატვირთვის ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში, ამოწმებს ატვირთული განაცხადების და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან. თუ აღმოჩენილ იქნება რაიმე ხარვეზი, კანდიდატს განუსაზღვრავს ვადას 5 დღის ოდენობით, დამატებითი დოკუმენტის ასატვირთად. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. თუ კანდიდატი ამ ვადაში არ აღმოფხვრის ხარვეზს, იგი „კონკურსის“ შემდეგ ეტაპზე აღარ დაიშვება;

ბ) საკონკურსო განაცხადების ატვირთვის ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, საკონკურსო კომისიას დასამტკიცებლად წარუდგენს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრული შემოწმების საბოლოო შედეგებს;

გ) „კონკურსის“ მეორე ეტაპამდე 7 სამუშაო დღით ადრე, კანდიდატს ელექტრონულად უგზავნის:

გ.ა) შეტყობინებას მის მიერ წარდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში, მას გაეგზავნება დასაბუთებული შეტყობინება;

გ.ბ) შეტყობინებას „კონკურსის“ მეორე ეტაპზე გადასვლის თაობაზე.

2.6.2. კანდიდატს უფლება აქვს - 2.6.1 პუნქტში მითითებული შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართოს „ბიუროს“ განაცხადის



ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მოთხოვნით. „ბიურო“ ვალდებულია - კანდიდატის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შედეგები დაუყოვნებლივ აცნობოს საკონკურსო კომისიასა და კანდიდატს.

## 2.7. „კონკურსის“ მეორე ეტაპი:

2.7.1. „კონკურსის“ მეორე ეტაპზე ხდება კანდიდატის შეფასება სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიმართ, რაც ემყარება კანდიდატის სამუშაო გამოცდილებისა და მისი პროფესიული ცოდნის ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ სამუშაო აღწერილობასთან, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან და კვალიფიკაციასთან შესაბამისობის დადგენას.

### 2.7.2. „კონკურსის“ მეორე ეტაპზე, კანდიდატების შეფასებიდან შემდეგი წესით:

ა) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტის-მოსამართლის თანაშემწის-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანსიაზე წარმოდგენილი კანდიდატები შეფასებიდან წერიტი და ზეპირი დავალებების მიცემის, აგრეთვე - გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით;

ბ) დანარჩენ ვაკანსიებზე წარმოდგენილი კანდიდატები შეფასებიდან გასაუბრებისა და ზეპირი დავალებების მიცემის შედეგების გათვალისწინებით.

## 2.8. წერიტი დავალების მიცემის წესი:

2.8.1. წერიტი დავალების მიცემა გულისხმობს კანდიდატისათვის ჰიპოთეტური ფაქტებით აგებული ამოცანის (შემდგომში - „კაზუსი“) ამოსახსნელად გადაცემას. კანდიდატს უფლება აქვს - წერიტი დავალების შესრულებისათვის თან იქონიოს და გამოიყენოს ნორმატიული აქტები, მათი კომენტარები ან/და სახელმძღვანელოები.

2.8.2. წერიტი დავალების ოთახში კანდიდატები შედიან საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული ოდენობით; მათ ეკრძალებათ მობილური ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა-გამოყენება.

2.8.3. „კაზუსის“ გადაცემამდე, ნათია ლოლაძე კანდიდატს გადასცემს ქეთევან აწყურელის ხელმოწერით დამოწმებულ საგამოცდო ფურცელს და აუხსნის მისი შევსების წესს. ამის შემდეგ, ნათია ლოლაძე კანდიდატს გადასცემს „კაზუსს“, რომლის ამოსახსნელად, „კაზუსის“ სირთულიდან გამომდინარე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, კანდიდატს განესაზღვრება დრო (არანაკლებ 30 წუთისა). განსაზღვრული დროის ამოწურვამდე ორჯერ - 15 წუთით ადრე და 5 წუთით ადრე - ნათია ლოლაძე აფრთხილებს

კანდიდატს დარჩენილი დროის შესახებ. განსაზღვრული დროის ამოწურვისთანავე, კანდიდატი ნათია ლოლაძეს აბარებს საგამოცდო ფურცელს; წინააღმდეგ შემთხვევაში, კანდიდატი ავტომატურად შეფასდება 0 ქულით.

2.8.4. კანდიდატი, წერითი დავალების შესრულების დონის მიხედვით, შეფასდება საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ, 0-დან 10-მდე ქულით, ცალ-ცალკე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) თეორიული ცოდნა;
- ბ) თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარი;
- დ) გრამატიკულად სწორად წერის უნარი.

2.8.5. საკონკურსო კომისიის წევრის მიერ ხელმოწერილი შეფასების ფურცლები გადაეცემა ნათია ლოლაძეს.

## 2.9. გასაუბრების წესი:

2.9.1. გასაუბრება გულისხმობს კანდიდატისათვის შეკითხვების დასმას და მათზე პასუხების მოსმენას, რათა შემოწმდეს კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევები და ინტელექტი.

2.9.2. გასაუბრების ოთახში კანდიდატები შედიან სათითაოდ; მათ ეკრძალებათ ნორმატიული აქტების, მათი კომენტარების ან სხვა ანალოგიური მასალის, მობილური ტელეფონის, აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

2.9.3. გასაუბრება საჯაროა და მას შეიძლება დაესწროს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა გასაუბრების ოთახის სივრცე. გასაუბრების მიმდინარეობის ფიქსაცია ვიდეო- და აუდიო-ჩანაწერების განხორციელებით შესაძლებელია მხოლოდ კანდიდატის თანხმობით.

2.9.4. კანდიდატი, გასაუბრების შედეგად, შეფასდება საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ, 0-დან 10-მდე ქულით, ცალ-ცალკე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევები, მათ შორის - სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;
- ბ) კანდიდატის ინტელექტი.

2.9.5. საკონკურსო კომისიის წევრის მიერ ხელმოწერილი შეფასების ფურცლები გადაეცემა ნათია ლოლაძეს.

## 2.10. ზეპირი დავალების მიცემის წესი:

2.10.1. ზეპირი დავალების მიცემა გულისხმობს კანდიდატისათვის შეკითხვების დასმას და მათზე პასუხების მოსმენას, რათა შემოწმდეს კანდიდატის თეორიული (მათ შორის კომპიუტერული პროგრამების) ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

2.10.2. ზეპირი დავალების მიცემა იწყება გასაუბრების დასრულებისთანავე, იმავე ოთახში და ჩატარდება ზემოთ, 2.9.2-2.9.3 პუნქტებში განსაზღვრული წესით.

2.10.3. კანდიდატი, გასაუბრების შედეგად, შეფასდება საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ, 0-დან 10-მდე ქულით, ცალ-ცალკე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

2.10.4. კანდიდატი, ზეპირი დავალების შესრულების დონის მიხედვით, შეფასდება საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ, 0-დან 10-მდე ქულით, ცალ-ცალკე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) თეორიული ცოდნა;

ბ) თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

გ) აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარი;

2.10.5. საკონკურსო კომისიის წევრის მიერ ხელმოწერილი შეფასების ფურცლები გადაეცემა ნათია ლოლაძეს.

## 2.11. კანდიდატთა შეფასების პრინციპი:

ყველა კანდიდატის თანაბარ მდგომარეობაში ჩასაყენებლად, საკონკურსო კომისიის წევრები მათ უსვამენ (ამოსახსნელად გადასცემენ) თანაბარი სირთულის და, შემდგომადგვარად, ერთგვაროვან შეკითხვებს („კაზუსებს“).

## 2.12. კანდიდატთა საბოლოო შეფასება:

2.12.1. თითოეული კანდიდატის მიმართ არსებულ შეფასების ფურცლებში ასახული შეფასებების გათვალისწინებით, ნათია ლოლაძე გამოიანგარიშებს საშუალო არითმეტიკულს, რაც წარმოადგენს კანდიდატის საბოლოო შეფასების ქულას.

2.12.2. „კონკურსში“ გამარჯვებულ, საუკეთესო კანდიდატად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომლის საბოლოო შეფასების ქულა ყველაზე მაღალი აღმოჩნდება.

2.12.4. თუ ორი ან რამდენიმე კანდიდატის საბოლოო შეფასების ქულები აღმოჩნდება იდენტური, საკონკურსო კომისია მათ შორის საუკეთესო კანდიდატს გამოავლენს

კენჭისყრის გზით. თუ კენჭისყრის შედეგად კანდიდატებმა მიიღეს თანაბარი ხმები, გადაწყვეტი იქნება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

#### 2.13. „კონკურსის“ შედეგების გამოცხადება:

2.13.1. საკონკურსო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს საუკეთესო კანდიდატს ან დასაბუთებულ უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე. აღნიშნული საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საკონკურსო განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

2.13.2. საკონკურსო კომისია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

2.13.3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო „კონკურსის“ შედეგების შესახებ ინფორმაციას ასახავს „ბიუროს“ მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შესაბამის მოდულში.

#### 2.14. „კონკურსის“ საორგანიზაციო საკითხები:

2.14.1. საკონკურსო კომისიის კომუნიკაცია კანდიდატებთან ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული მიმოწერის გზით, ნათია ლოლაძის მეშვეობით.

2.14.2. ნათია ლოლაძე უზრუნველყოფს წინამდებარე ოქმის გამოქვეყნებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე, ასევე - მისი ელექტრონული ვერსიის გადაგზავნას „კონკურსის“ მეორე ეტაპზე გადასული ყველა კანდიდატისათვის.

3. საკონკურსო კომისიამ, მოისმინა რა ქეთევან აწყურელის მოხსენება, „წესის“ მე-19 მუხლის საფუძველზე და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს „კონკურსში“ მონაწილე კანდიდატების შეფასების შემდეგი ფორმები:

ფორმა №1: გასაუბრებაზე გამოცხადებულ კანდიდატთა რეგისტრაციის ბარათი

გასაუბრებაზე გამოცხადებულ კანდიდატთა

რეგისტრაციის ბარათი

№	კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	ინფორმაცია კანდიდატის გამოცხადების თაობაზე

ფორმა №2. წერიტი დავალების შესრულების შეფასების ფურცელი:

კანდიდატის მიერ წერიტი დავალების შესრულების  
შეფასების ფურცელი

საკონკურსო კომისიის წევრი:

ხელმოწერა:

კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	თეორიული ცოდნის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	გრამატიკულად სწორად წერის უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)

ფორმა №3. გასაუბრების შეფასების ფურცელი:

კანდიდატის მიერ გასაუბრების გავლის

შეფასების ფურცელი

საკონკურსო კომისიის წევრი:

ხელმოწერა:

კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	ზოგადი უნარ-ჩვევების (მათ შორის - სტრესულ გარემოში მუშაობის უნარის) შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	ინტელექტის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)

ფორმა №4: ზეპირი დავალების შეფასების ფურცელი:

კანდიდატის მიერ ზეპირი დავალების შესრულების

შეფასების ფურცელი:

საკონკურსო კომისიის წევრი:

ხელმოწერა:

კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	თეორიული ცოდნის შეფასება  (0-დან 10 ქულამდე)	თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარიის შეფასება  (0-დან 10 ქულამდე)	აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარიის შეფასება  (0-დან 10 ქულამდე)	კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შეფასება  (0-დან 10 ქულამდე)



4. საკონკურსო კომისიამ, მოისმინა რა ქეთევან აწყურელის მოხსენება, „წესის“ მე-19 მუხლის საფუძველზე და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

განისაზღვროს „კონკურსის“ ჩატარების შემდეგი გრაფიკი:

- 2018 წლის 7-13 მარტი: „კონკურსის“ გამოცხადება და ვაკანსიების გამოქვეყნება „ბიუროს“ მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით;
- 2018 წლის 14-27 მარტი: კანდიდატების მიერ განაცხადების წარმოდგენა;
- 2018 წლის 28 მარტი - 12 აპრილი: „კონკურსის“ პირველი ეტაპი;
- 2018 წლის 25 აპრილი: კანდიდატებისათვის წერიითი დავალების მიცემა;
- 2018 წლის 26 აპრილი-4 მაისი: კანდიდატებთან გასაუბრება და ზეპირი დავალების მიცემა;
- 2018 წლის 11 მაისი: საკონკურსო კომისიის მიერ საუკეთესო კანდიდატების წარდგენა დასანიშნად;
- 2018 წლის 25 მაისი: საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილ კანდიდატთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სხდომა დამთავრდა 17 საათზე.

კომისიის წევრები:

ქეთევან აწყურელი

არჩილ გლუნჩაძე

დიმიტრი გვრიტიშვილი

გიორგი ზარნაძე

ნათია ლოლაძე

ზურაბ ცხვედიანი

კომისიის მდივანი:

ონისე გურუშიძე